საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნონა თოლორაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	13	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

ნონა თოლორაია

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ის ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. კანდიდატს აქვს კარგი პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია კოლეგებს შორის. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები მას დროულად აქვს დაფარული.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	13	20	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. არ გამოვლენილა კანდიდატის ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების სფეროში, მათ

			შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის მოსაზრებებს ის შესაბამისად ასაბუთებს. კანდიდატს აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.
წერის უნარი	18	20	თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს გასაგებად და თანმიმდევრულად. მას გააჩნია ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების უნარი. ის არის თავშეკავებული და გააჩნია განსხვავებული მოსაზრების მოთმენით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. მას აქვს თვითგანვითარების უნარი.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, ის არის არაერთი სამართლებრივი სტატიის ავტორი. კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 2016 წლის 13 ნოემბრიდან მას მიენიჭა მეორე კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება.
ქულათა ჯამი	**85**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო		

	სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36³ მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ნონა თოლორაიას შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად ნონა თოლორაიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, კერძოდ, მას არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. დაკისრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ნონა თოლორაია სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატის დამოუკიდებლობას, პრინციპულობასა და კეთილსინდისიერებას დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და კოლეგები. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, 2008-2010 წლებში იყო „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი და ეკავა ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა. კანდიდატი 2012 წელს იყო პარტია „ქართული ოცნების“ წევრი და ეკავა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საოლქო შტაბების რეგიონალური კოორდინატორის

	თანამდებობა; ამასთან, იგი წარმოადგენდა პარლამენტის წევრობის კანდიდატს პროპორციული სიით. მიუხედავად აღნიშნულისა, მიმაჩნია, რომ არ არსებობს ეჭვის შეტანის საფუძველი კანდიდატის მიუკერძოებლობაში პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატი არის ტაქტიანი, თავდაჭერილი და კორექტული. მან გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი. კოლეგებთან ურთიერთობისას კანდიდატი იცავს ეთიკურობასა და კორექტულობას. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნონა თოლორაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ასევე, კანდიდატი მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა. უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბანკში ინახება ინფორმაცია კანდიდატის მიმართ წარსულში არსებულ სისხლისამართლებრივი დევნის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის (2006 წლის 31 მაისის რედაქციით) 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად. გამოარჩევენ მის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კეთილსინდისიერებას, მიზანდასახულობას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას და ა.შ.. თუმცა, ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიიჩნევს მის უკომპრომისობას. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ნონა თოლორაია <u>სრულად აკმაყოფილებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას

გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u>

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად და დასაბუთებულად ემსჯელა. თუმცა, გარკვეულ საკითხებთან მიმართებით მისი პასუხები იყო ხარვეზიანი ან მოკლებული სათანადო სამართლებრივ დასაბუთებას. მაგალითისათვის, დანაშაულთა პროვოკაციასთან, ასევე მოვალეობათა კოლიზიასა და ტრაგიკული კოლიზიას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით.

შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდელობას. თუმცა, კანდიდატმა ვერ განავითარა სიღრმისეული მსჯელობა აუცილებელი მოგერიებასა და მის ფარგლებთან დაკავშირებით.

გასაუბრების მიმდინარეობისას არ გამოვლენილა კანდიდატის ცოდნის დონე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებით.

საერთო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმულ სამართლებრივ და ზოგად საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობის შედეგად, მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 75%.

<u>**სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია**</u>

ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის სამართლებრივ ნაშრომებში

	კანდიდატი მოსაზრებებს შესაბამისად ასაბუთებს, რაც სძენს მათ დამაჯერებლობას. კანდიდატს აქვს 21-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 6-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატი წერლილობით თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად და გასაგებად, ამასთან მარტივი ენით და დასაბუთებულად. მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი მეტყველების უნარი</u>** კანდიდატი საუბრობს თანმიმდევრულად და გასაგებად, მას აქვს გამართული მეტყველების უნარი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მისი მსჯელობა მოკლებული იყო დასაბუთებას. კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის უნარი, მას შეუძლია განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენა. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული, რასაც ასევე ადასტურებენ კანდიდატის რეკომენდატორები და კოლეგები. კანდიდატს შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი იშვიათად ესწრება სასწავლო პროფესიულ შეხვედრებს. მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, ის არის არაერთი სამართლებრივი სტატიის ავტორი. კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 2016 წლის 13 ნოემბრიდან მას მიენიჭა მეორე კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.